ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1558205

ნომერი: AR1259374

თარიღი : 20.10.2014

გაცემის თარიღი : 24.10.2014

გაცნობის თარიღი : 24.10.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლესელიძე , N 29 , მომიჯნავედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნელი ნიკვაშვილი პ/ნ 01024051670
- თბილისი ვ.გაბაშვილის ქ. N 5 ბ. 3

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1259374 20.10.2014წ. განაცხადის პასუხად, გაცნობებთ რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე 2006 წელს გაიცა ქალაქმშენებლობითი პირობები #ს-1/29, მაღალი ინტენსივობის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა (სსზ)-ში კ1-0.8, კ2-4.0. აგრეთვე შეთანხმდა პროექტი ბრძანება #20/646 და გაიცა მშენებლობის ნებართვა #ნ/564 (2007 წ.) სავაჭრო-საოფისე შენობა-ნაგებობის განსათავსებლად, რადგანაც ობიექტი დღევანდელი მდგომარეობით მშენებარეა და ძველი კანონმდებლობით არის შეთანხმებული, მშენებლობა უნდა გაგრძელდეს იგივე დოკუმენტაციით, შესაბამისად Tas.ge–ზე ამავე განაცხადზე უნდა შეცვალოთ ნომენკლატურა და აირჩიოთ: მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება და მიუთითოთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების ნომერი და თარიღი – №ს-1/29 16.05.2006წ. ასევე უნდა შეცვალოთ მოთხოვნის ტექსტი და დააფიქსიროთ რომ გსურთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება ობიექტის ფუნქციის ცვლილების გამო (სავაჭრო-საოფისეს ნაცვლად სასტრუმრო); შეგიძლიათ ასევე დააფიქსიროთ ხორციელდება თუ არა სხვა რაიმე სახის ცვლილება;

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განსახორციელებლად საჭიროა წარმოადგინოთ მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ან ზემოაღნიშნული აქტის მესაკუთრის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა, ასევე შესაძლებელია დააფიქსიროთ აღნიშნული პიროვნების მონაცემები ამავე განაცხადის თანაგანცხადებლის ველში.

ამასთან გაცნობებთ, რომ ვინაიდან საპროექტო ობიექტები მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში. “კულტურული მემკვიდრეობის შესახებ” საქართველოს კანონის 41-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებში განხორციელებული ცვლილების თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში ქალაქთმშნებლობით დოკუმენტაციას ამტკიცებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანო სამინისტროსთან შეთანხმებით. გამომდინარე აქედან მოთხოვნის დაზუსტების შემდგომ საკითხი გადაიგზავნე საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროში, რომლის რეკომენდაციის შემდგომ სამსახური მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.